სიმბოლიზმი და მითოლოგია

ნანა გუნცაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nana.guntsadze@tsu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.14

თემატური კრიტიკა ჰერმენევტიკული კრიტიკის სხვა ფორმებისაგან განსხვავდება იმით, რომ ის უარყოფს პოსტულატს – ლიტერატურა ადამიანის, საზოგადოებისა და ისტორიის გამოხატვაა. თემატური კრიტიკა იზიარებს რომანტიზმისგან მემკვიდრეობით მიღებულ ახალ კონცეფციას: ლიტერატურული ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, ეს არის უხილავი და ფარული კავშირების გამოვლენა, ზეშთაგონება. დამოკიდებულება, რომელსაც მწერალი ენის მიმართ იჩენს, მხატვრულ ტექსტს აქცევს გამოგონების ადგილად და არა საკუთარი თავის გამოხატვად.

ა.რემბოს „გასხივოსნების“ რიტმული პროზა, სადაც ავტორს, შეტანილი აქვს მოკლე სცენები, ფანტასტიური შთაბეჭდილებები, უძველესი აღმოსავლური პოეზიით, ლეგენდებითა და მითებით შთაგონებული სახეები, ხშირად ალოგიკურ, მხოლოდ შინაგანი სიმართლით განპირობებული ასოციაციების შეგნებულ შემოტანას ეყრდნობა. ამ შემთხვევაში ძველი ეპოქის, წარსულის ხელოვნურად გაცოცხლების ცდასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ალქიმიკოსის მსგავსი შრომით, მისგან კვინტესენციის გამოტანასთან. ამრიგად, პოეტი ქმნის ერთსა და იმავე დროს მბრწყინავ, კაშკაშა სხივებით აელვარებულ და მოღრუბლულ, პირქუშ სამყაროს, ჰაეროვანსა და მყარს, კონკრეტულსა და ჯადოსნურს, სადაც მითოსიდან ამოტივტივებული სახეები, მოგვი - პოეტის წარმოსახვის კაპრიზს ემორჩილებიან. ეს ის უცხო და შემაშფოთებელი რეალობაა, რომელსაც პოეტი შეიცნობს საკუთარი მე-ს სიღრმეში და რომელსაც XIX საუკუნის ბოლოს ფსიქოლოგია უწოდებს არაცნობიერს; „გასხივოსნების“ ტექსტები გვარწმუნებს იმაში, რომ ეს შიდა სივრცე მხოლოდ ხატების ენაზე, ანუ პოეზიაში ისე უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ეს „გასხივოსნებაშია“, ამ ნამდვილ პოეტურ შედევრში, სადაც უჩვეულო სიტყვებისა და პოეტური ხატების ჯაჭვზე ავტორი ლაღად ცეკვავს, როგორც იმ სამყაროს „ეფემერული მოქალაქე“, რომლის დემიურგიც თავადაა: „სამრეკლოდან სამრეკლოზე თოკები გავაბი, ფანჯრიდან ფანჯარაზე ყვავილწნული, ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე ოქროს ჯაჭვი და ვცეკვავ“.

საკვანძო სიტყვები: თემატური კრიტიკა, მხატვრული ტექსტი

თემატური კრიტიკა ჰერმენევტიკული კრიტიკის სხვა ფორმებისაგან განსხვავდება იმით, რომ ის უარყოფს პოსტულატს – ლიტერატურა ადამიანის, საზოგადოების და ისტორიის გამოხატვაა; თემატური კრიტიკა იზიარებს რომანტიზმისგან მემკვიდრეობით მიღებულ ახალ კონცეფციას: ლიტერატურული ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, ეს არის უხილავი და ფარული კავშირების გამოვლენა, ზეშთაგონება. დამოკიდებულება, რომელსაც მწერალი ენის მიმართ იჩენს, მხატვრულ ტექსტს აქცევს გამოგონების ადგილად და არა საკუთარი თავის გამოხატვად. თემატური კრიტიკა ინტერნალურია. მათთვის, ვინც კითხვა იცის, მწერლის დამოკიდებულება სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან და საკუთარ თავთან მთლიანად მწერლის ტექსტშია მოთავსებული; ეს ის ადგილია, სადაც ავტორი თავის თავს იგონებს, საკუთარ თავს შეიცნობს. ამ მიმართულების კრიტიკოსს მიაჩნია, რომ მან უნდა გააცნობიეროს მწერლის მიერ განვლილი სულიერი გამოცდილება. ერთი და იმავე ტექსტზე სხვადასხვა კრიტიკული მეთოდის გამოყენებას ზოგჯერ ძალზე საინტერესო შედეგებამდე მივყავართ. რემბოს ცნობილ ნაწარმოებზე „გასხივოსნებაზე" მუშაობისას ძირითადად თემატიური მეთოდით ვხელმძღვანელობდი. ამასთან, შევეცადე ნაწილობრივ გამომეყენებინა მითოკრიტიკული მიდგომებიც და ყურადღება დამეთმო მითოსური ელემენტებისათვის რემბოს „გასხივოსნებაში".

„გასხივოსნების" პროლოგად მიჩნეულია ტექსტი, სათაურით „წარღვნის შემდეგ", სადაც ა. რემბო ეყრდნობა ბიბლიურ მითს წარღვნის შესახებ. ბიბლიურ მითოლოგიურ ტექსტში ორი, კარდინალურად ურთიერთსაწინააღმდეგო, კონცეპტია: სიცოცხლე და სიკვდილი. სიცოცხლეს კაცობრიობის მოსპობის მიზნით უტევს წარღვნა. კიდობანზე ასული ნოე გადაურჩება სიკვდილს და უბრუნდება ცხოვრებას, უწინდელ ცხოვრებას, როცა ის ღმერთთან კავშირში იმყოფებოდა. ამგვარად, წარღვნას მოჰყვება ნგრევა, განადგურება, სიკვდილი, რათა შემდეგ მას მოჰყვეს რეგენერაცია, აღდგომა. ამრიგად ცოდვაში ჩაძირულ კაცობრიობას ღმერთმა აჩვენა თავისი მრისხანების ძალა, ხოლო იმის მიმართ, ვისაც სურს ახალი ქმნადობის დაწყება (ნოე), კეთილგანწყობა გამოხატა.

წარღვნის შემდეგ ა. რემბო (ნოე) იძლევა ბიბლიური წარღვნის შემდგომ სამყაროს აღორძინების სურათს, როცა ბუნება კვლავ იწყებს სიცოცხლეს. კურდღელი ფარვანებში და სამყურაში ინაბება, ყვავილები თავებს სწევენ, ობობა აბლაბუდას ქსოვს. ამ განსხვავებულ, გაცოცხლებულ სამყაროში, სადაც ღმერთის ძალა ფანჯრებს აუფერულებს, ჩნდება ცისარტყელა. ღმერთისა და დედამიწის კავშირის სიმბოლური ნიშანი; ცისარტყელის გამოჩენასთან ერთად იწყება განახლებული ქრისტიანული ცივილიზაცია: პირველი ზიარება მიმდინარეობს ათასობით ტაძართა საკურთხეველში, თუმცა მალე ნათელი ხდება, რომ

რელიგია „კვლავ ანაგვიანებს ქვეყანას“, „გაყრუება და ტბორები“, ქაფი ედება ხიდებსა და ხეების კენწეროებს, შავი მაუდები და ქოროები, ჭექა-ქუხილი და ქვევით წლები და მწუხარება გვარწმუნებს, რომ სამყარო კვლავ მიექანება უფსკრულისაკენ, კვლავ სანატრელი ხდება წარღვნა, „კვლავ მოდით, წარღვნებო“.

და აი, თითქოს წარღვნის შემდგომი მძიმე სიჩუმე გამეფებულა ქვეყნად, სადაც მხოლოდ „მკრთალი ნათელი და ვარსკვლავთა იდუმალება“ მეფობს, სადაც „წყალი მკვდარია“ და „ჩრდილების ბანაკი არ ტოვებს ტყის ბილიკებს“, სადაც დრო ჩერდება და „კოშკის საათი აღარ რეკს“, იქმნება სიმარტოვის, სიცარიელის შემაძრწუნებელი განცდის აღმძვრელი ატმოსფერო. სამხრეთის ქარს განადგურებული ბაღის და გადამწვარი მინდვრების აუტანელი სუნი მოაქვს, ტყეში მიტოვებული ბაფთებით მორთული პატარა ურიკა მოჩანს, სოფლებში აღარ ისმის მამლების ყივილი, გრდემლის ხმა, გაძარცვული ხეები, მუნჯი ფრინველები აძლიერებს შემზარავი სიჩუმისა და მოუსვენრობის გრძნობას, რომელსაც კიდევ უფრო ამძაფრებს დაცარიელებული სასტუმროების, მიტოვებული საგვარეულო კოშკის, კარდახშული ეკლესიისა და მიტოვებული სახლების დანახვით გამოწვეული მწვავე განცდა.

მაგრამ შემოქმედი, გამომგონებელი, რომლის მსგავსი ჯერ არავის უნახავს, იწყებს ამ შემაძრწუნებელი გარემოს გაცოცხლებას, მძიმე სიჩუმის გასხივოსნებას, აჟღერებას.

„არნახული სინათლით“ ივსება სამყარო: „ოქროსფერი განთიადები“, მზის იდუმალი ჩასვლა და გრილი საღამოები, მშფოთვარე ზაფხულები და ნისლიანი ზამთრები, „მწვერვალების თვალისმომჭრელი სხივი“ ნათელს ჰფენს პალმების ბაღებს, თუ „აზვირთებულ ზღვებს“, „ნაყოფიერ ჭალებსა“ და ბაღებს, თუ „მიხაკების ველს“. „ცის ალმური აფრებს აფერადებს“, „უდაბნო ნათდება“, „რიჟრაჟი აღვიძებს ხმაურს“. წარმოუდგენელი ფერები, თავბრუდამხვევი მოძრაობა, გამაყრუებელი ხმაური, სიცოცხლეს ამკვიდრებს დემიურგი პოეტის ახალ სამყაროში. უჩვეულო და ფანტასტიკურია ახალი საგნები, რომლებსაც შემოქმედი პოეტი იგონებს ქმნის „ლურჯი და ნაცრისფერია წყალი მდინარეში“, „ქვით ნაშენი ხე“ და „მაქმანის მცენარე“ ხარობს ტყეში, „ფოლადისა და ზურმუხტის ბალახითაა“ დაფარული მინდორი, „მარმარილოს სანაპირო“ აკრავს ზღვას; „ვერცხლის თვალებისა და თმებისაგან მოქსოვილი მეტალის ხალიჩაზე, `ნაცრისფერ, ჰაეროვან საბურავებს“. ხავერდებსა და მზეზე აელვარებულ, ბრინჯაოსავით ყრუდ მოლაპარაკე ბროლის დისკოებს შორის იშლება ფანტასტიკური მშვენების ყვავილი; „ლალის წვრილი ღეროებითაა“ გარშემორტყმული წყლის ვარდი.

ამ სამყაროში ყველა საგანი, გასულიერებული ყვავილები თუ ხეები, კომეტები თუ პლანეტები ნამდვილ, ცოცხალ არსებასავით მგრძნობიარე, ხან მხიარულნი არიან, ხან კი

სევდიანნი, ხან მშვიდნი და ალერსიანნი, ხან კი მშფოთვარენი და ბობოქარნი… განსხვავებულ განცდათა, ემოციათა გამომწვევი სურათები ელვისებური სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს და განსხვავებულ ხმათა პოლიფონიური ერთიანობით ქმნიან სამყაროს მარადიული მოძრაობის, მარადიული ცვალებადობის საოცრად დინამიურ, ჟღერად, ფერადოვან სურათს.

სადღაც, ფერდობებზე, ჯადოსნური ყვავილები ღიღინებენ, ტყის პირას „მეოცნებე ყვავილები წკრიალებენ, ბზინავენ და ანათებენ“, „ზოგან თასებივით და თოფებივით დიდი ყვავილები ღმუიან“, „მთვარე იწვის და ღრიალებს“, „სადღაც ახსნილი რაბები ღმუიან“, ზოგან კი - ყრუ ხმები და ტბორები, „წყალი და მწუხარებანი, ზოგან კი, „ყრუ ხმები და ტბორები“, „წყალი და მწუხარებანი“ დასადგურებულა. „მაღალ საფეხურებად დაწყობილი ზღვა“ მშვიდი და წყნარია. თუმცა ზოგან აზვირთებული, მშფოთვარე ზღვის ტალღების „ორფევსული ხმაური“, „მარგალიტების და ძვირფასი ნიჟარების გრგვინვა“ უერთდება „ნამიანი ღამეების დაუდგრომელსა და მქროლავ ხმაურს“ და ეს ყოველივე გვიმძაფრებს ემოციებს, გვამზადებს უფრო გრანდიოზული, უფრო დაძაბული განცდებისათვის, რასაც „ქარიშხლის და გრიგალის“, „ეტნის ამოფრქვევის“, თუ მჩქეფარე, ყინულოვანი წყლით სავსე ნაპრალებით, „პირდაღებული უფსკრულებისა“ და „წყალვარდნილების, „მორევთა ტრიალის“, თუ „ცის მნათობებთან ხორგვების ჯახის“ გაგონება, თუ დანახვა იწვევს ჩვენში. უჩვეულოა „ზღვის ნაზ ქაფზე სისხლიანი ხორცით სავსე ფარდულების და არქტიკული ყვავილების“ (რომლებიც არ არსებობს) ხილვა ამ ახალ სამყაროში. უჩვეულო და ფანტასტიკურია ცხოველ ზაფხულს მინდობილი „ლურჯი ფრინველები“, „ზღაპრული ტყის ცხოველები“, რომლებიც აქ დაძრწიან და რომელთა ბღავილი უერთდება ჩანჩქერის ჩხრიალსა და ტრამალების ხმაურს, „სერაფიკული კენტავრები“, რომლებიც ზვავების საუფლოში ბინადრობენ, „თეთრი მტაცებლები“, რომლებიც ხრამებში დაბუდებულან; უჩვეულო განცდებს იწვევს „ქონდრის უდაბნოს“ ხილვა, რომლის ბინადარი „ტურების კივილი მთვარეს ესმის და აშფოთებს“, ანდა „ეკალ-ბარდებსა და ჩანჩქერებში ჩამდგარი ირმები“, რომლებიც „დიანას ძუძუს წოვენ“. ფანტასტიკური, ზღაპრული ცხოველების (კენტავრების, ფასკუნჯების), თუ რეალურად არსებული ცხოველების ფანტასტიკურ გარემოში ხილვა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ პოეტის მიერ წარმოსახულ სამყაროს არაფერი აქვს საერთო რეალურად არსებულთან.

„ინტენსიური და სწრაფი დინებით“ სამყაროს მიღმა გატყორცნილი პოეტი „ნახშირის სქელ და მარადიულ კვამლში“ ხედავს „ახალ მოჩვენებებს“, მისი სამყაროს ახალ არსებებს; მის მიერ შექმნილი სამყარო პოეტს წარმოუდგენია თეატრად, რომლის სცენაზე ლიტერატურის დრამატული შედევრების ნაცვლად ნამდვილი ადამიანური დრამა თამაშდება; ამ სცენაზე,

„ბალაგანურ ხეივნებში“ თუ „ხის ჯებირებიან ქვიან მინდვრებზე“, სამყაროსეული საგნების „ნაყარი ტყის ხეების“ და „ნავებით სავსე არქიპელაგის“ უჩვეულო დეკორაციების ფონზე „ტაკიმასხარები“, „ჟონგლიორები“, „კომედიანტები“ დგამენ „ახალ, მაგნიტურ კომედიას“, რამაც უჩვეულო ძალით უნდა მიიზიდოს ხალხი იმ „ჯადოსნურ სანახაობაზე“, რომლის მსგავსი ადამიანებს არასოდეს უნახავთ. ეს არის ის, რაც „ვერც ჟამმა, ვერც მეცნიერებამ ვერ შეიცნო“, ეს არის შეუცნობს ნაზიარები პოეტის მიერ წარმოდგენილი ის „გრანდიოზული, იგავმიუწვდომელი სიმდიდრე“, რომლის მსგავსი არ მოუხვეჭიათ „არც ებრაელებს“ და არც არისტოკრატებს, თუ ბოროტმოქმედთ „დასიზმრებიათ“. ეს არის „საკაცობრიო გამოღვიძება გუნდისა და ორკესტრის სიძლიერით და მისი წუთიერი გამოყენება...“ „ჰარმონიის გაუგებარი ნახტომები, წარმატებანი...“ „უხილავი დიდებულების შეუგრძნობი სიტკბო...“ „და ამ დიდებულების ყოველი ნაკლის შემაძრწუნებელი საიდუმლოება“, რომელსაც ამ ცხოვრებისეულ სცენაზე წარმოგვიდგენენ, გვიჩვენებენ, გვასმენინებენ ჟონგლიორები და მსახიობები, მათ მიერ განსახიერებული პიროვნებები; „ყველა სახის, ყველა ქვეყნის, ყველა სქესის და მოდგმის შეუფასებელი სხეულები“: ჩინელები და პონტოელები, ბოშები და საშინელი დემონები.

ამ უჩვეულო სამყაროს ფანტასტიკურ ქალაქებში პიროვნებებიც ისეთივე უჩვეულონი და გრანდიოზულნი არიან, როგორც საგნები. აქ შეხვდებით „გოლიათ ადამიანებს“, „გიგანტ მომღერალთა კორპორაციებს“, „გოლიათ მცველებსა და ოფიცრებს“. აქ არიან გაცოცხლებული ზღაპრული, ლეგენდისეული, მითოლოგიური პიროვნებები, დროის მიღმა, ერთ ჟამთა ბრუნვაში გაერთიანებული სახეები, რომლებიც ფერების, ხმების, სიტუაციების სწრაფი ცვალებადობით ქმნიან ახალი ქალაქების ცოცხალ, ხმაურიან, დინამიურ სურათს; „გიგანტურ მომღერალთა კორპორაციები მწვერვალების თვალისმომჭრელ სინათლესავით კაშკაშა ტანაცმელებით და დროშებით“ გამორბიან. უფსკრულებშუა, ბანებზე როლანები თავიანთ მამაცობაზე რეკენ, „მინანქრისფერ და წითელ კაბებში გამოწყობილი მაბების კორტეჟი ხევებში ადის“, „ეკალ-ბარდებსა და ჩანჩქერებში ჩამდგარი ირმები ძუძუს სწოვენ დიანას“, „მჭედლებისა და განდეგილების გამოქვაბულებში ვენერა შემოდის“, „ველურები შეუჩერებლად ცეკვავენ დღესასწაულებზე“, „ახალი ერინისები“ დგებიან კოტეჯის წინ, „ციცაბო ფერდობზე, ფოლადისა და ზურმუხტის მინდვრებში ანგელოზები მატყლის კაბებს აფრიალებენ“, „გარეუბნის საბინები გარბიან“, „კარტს თამაშობენ ტბორებში“, „სარკე ირეკლავს დედოფლებს და ფავორიტებს“. „ფერიების საზეიმო სვლა“, „პირველი იმპერიის მოდაზე დავარცხნილი ნიმფები“, „ცეცხლისა და ყინულის ანგელოზები“, ეგზოტიკურ ტანსაცმელში გამოწყობილი პრინცესები და სულთნის ცოლები, ბრაჰმანები და წმინდანები, ბიბლიური და

სხვადასხვა ხალხის მითოლოგიური, ზღაპრული გმირები ამ ახალ სამყაროში განასახიერებენ ადამიანთა ახალ ტიპებს, რომლებიც გათავისუფლებული არიან ღმერთის მიერ პირველადი ცოდვების გამო მისჯილი შრომის, მსახურების დამამცირებელი ფუნქციისაგან. ამ პოეტურ წარმოსახვაში სამყაროსეული საგნები დეკორაციის სახეს ღებულობენ; არის სცენა (ცხოვრება) და არიან მსახიობები (პიროვნებები), რომლებიც ამ სცენაზე სხვადასხვა ნიღბით გამოდიან, სხვადასხვად გარდაისახებიან, თუმცა ყოველივე ეს არ არის მოქმედება, წარმოდგენა და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ამ სამყაროში, სადაც ადამიანის ყოველგვარი მოქმედება უარყოფილია (რადგან „ადამიანი როცა მოქმედებს მარიონეტია“), წარმოდგენის შინაარსს აღარა აქვს მნიშვნელობა; აქ მთავარია ეს დეკორაციები (საგნები) და მსახიობები (ადამიანები), რომლებიც მოქმედების ნაცვლად პერმანენტულ მოძრაობას ახორციელებენ, სახეცვლილებას განიცდიან, რითაც ისინი მარადიული სიცოცხლის შთაბეჭდილებას ქმნიან.

ამრიგად „გასხივოსნების“ რიტმული პროზა, სადაც ავტორს, შეტანილი აქვს მოკლე სცენები, ფანტასტიური შთაბეჭდილებები, უძველესი აღმოსავლური პოეზიით, ლეგენდებით და მითებით შთაგონებული სახეები, ხშირად ალოგიკურ, მხოლოდ შინაგანი სიმართლით განპირობებული ასოციაციების შეგნებულ შემოტანას ეყრდნობა. ამ შემთხვევაში ძველი ეპოქის, წარსულის ხელოვნურად გაცოცხლების ცდასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ალქიმიკოსის მსგავსი შრომით, მისგან კვინტენსენციის გამოტანასთან. ამრიგად, პოეტი ქმნის ერთსა და იმავე დროს მბრწყინავ, კაშკაშა სხივებით აელვარებულ და მოღრუბლულ, პირქუშ სამყაროს, ჰაეროვანსა და მყარს, კონკრეტულსა და ჯადოსნურს, სადაც მითოსიდან ამოტივტივებული სახეები, მოგვი - პოეტის წარმოსახვის კაპრიზს ემორჩილებიან. ეს ის უცხო და შემაშფოთებელი რეალობაა, რომელსაც პოეტი შეიცნობს საკუთარი მე-ს სიღრმეში და რომელსაც XIX საუკუნის ბოლოს ფსიქოლოგია უწოდებს არაცნობიერს; „გასხივოსნების“ ტექსტები გვარწმუნებს იმაში, რომ ეს შიდა სივრცე მხოლოდ ხატების ენაზე, ანუ პოეზიაში ისე უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ეს „გასხივოსნებაშია“, ამ ნამდვილ პოეტურ შედევრში; სადაც უჩვეულო სიტყვებისა და პოეტური ხატების ჯაჭვზე ავტორი ლაღად ცეკვავს, როგორც იმ სამყაროს „ეფემერული მოქალაქე“, რომლის დემიურგიც თავადაა: „სამრეკლოდან სამრეკლოზე თოკები გავაბი, ფანჯრიდან ფანჯარაზე ყვავილწნული, ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე ოქროს ჯაჭვი და ვცეკვავ“.

ა. რემბოს ამ ტექსტში მოცემული სიტუაციების, ხატების, იდეების და გრძნობების სუგესტიურობით შესაძლებელი ხდება ტრანსფორმირებული სამყაროს ხედვა. ასეთი ტექსტის კითხვის მომენტი იძლევა წარმოუდგენელი თავისუფლების გრძნობით ცხოვრების ისეთივე განცდას, რასაც გრძნობს შემომქმედი ნაწარმოების შექმნის მომენტში. როდესაც

პოეტი ენას ასე იმორჩილებს, მას ექმნება შთაბეჭდილება, რომ მიაღწია მარადისობას. თავისუფლების ასეთი გაუგონარი, არნახული მდგომარეობა, ასეთი აღტკინება ტრანსფორმირებული სამყაროთი, რისი წაკითხვაც ამ ტექსტში მოცემული სიტუაციების, ხატების, იდეების და გრძნობების სუგესტიურობით უნდა შევძლოთ, ალბათ სწორედ ეს არის მშვენიერების იდუმალი გრძნობის ის საიდუმლო, რასაც ყველა ასე სულმოუთქმელად ელოდება.

ლიტერატურა:

1. **Chauvin, D.**, - Questions de Mythocritique. Paris. Imago. 2005. p. 370
2. **Maurel, A.**, - La critique, Paris. Hachette. 1994. p. 160
3. **Marchal, B.**, - Lire le symbolisme. Paris. 1993. Dunod. p. 208
4. **Peynet, M.**, - Rimbaud en son temps. Paris. Gallimard. 2005. p. 370
5. **Rimbaud, A.**, - Œuvres complètes. Paris. La Bibliothèque de la Pléiade. Gallimard. 2009. p. 1101

Nana Guntadze
Iv.Javakhishvili state University

Symbolizm and Mytology

Abstract

Thematic criticizm shares a new concept inherited from romanticism: a literary work is, first of all, the revelation of invisible and hidden connections, inspiration. The wtiter's attitude toward language makes the literary text a place of invention rather than self-expression. Thematic criticism is internal. For those who know how to read, the writer's relationship to the world, to other people, and to himself is entirely contained in the writer;s text; This is the place where the authors invents himself, gets to know himself. The critic of this direction believes that he should understand the spiritual experience of the writer.

The rhythmic prose of A.Rimbaud's "Radiance" where the aothot includes short scenes, fantastic impressions, faces inspired by ancient Eastern poetry, legends and mytha, often relies on the conscious introdiction of illogical assoxoations caused only by inner truth.

რეცენზენტი: პროფესორი ანასტასია ჟდანოვიჩი